

შპს „გაზტექმშენი“

(ს/კ 206245179) -ს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „გაზტექმშენი“ ს.კ 206245179

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

1.ფინანსური ანგარიშგება

- ☐ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
- ☐ შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.

2.ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

- ☐ ზოგადი ინფორმაცია;
- ☐ ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა;
- ☐ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები.

შპს „გაზტექმშენი“ ს.კ 206245179

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

20223 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ფინანსური მდგომარეობა				
		31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფინანსური მდგომარეობა				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	245766	163868	146626
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	192159	244577	170526
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3	82195	3386	0
მარაგები	4	102940	394003	217354
მზა პროდუქცია		0	0	0
სხვა		102940	394003	217354
საინვესტიციო ქონება		0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები		0	0	0
ბიოლოგიური აქტივები		0	0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0	0
გადაფასების მოდელით		0	0	0
გუდვილი		0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები		0	0	0
ძირითადი საშუალებები	5	247500	300757	346228
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0	0
სულ აქტივები		870560	1106591	880734
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	6	4308	15118	64524
ანარიცხები		0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	7	30693	6039	0
საგადასახადო ვალდებულებები	8	37276	55864	24701
გამომუშავებული შემოსავალი	9	76976	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		0	9328	70940
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		0	0	0
მიღებული გრანტები		0	0	0

სხვა ვალდებულებები		0	14951	4118
სულ ვალდებულებები		149253	101300	164283
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		1330	1330	1330
საემისიო შემოსავალი		0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		719977	1003961	715121
გადაფასების რეზერვი		0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		721307	1005291	716451
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		870560	1106591	880734
სულ მოკლევადიანი აქტივები		623209	805834	880733
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		149253	101300	164283

შპს „გაზტექმშენი“ ს.კ 206245179

მოგებისა და ზარალის და და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

საქმიანობის შედეგები			
		31/12/2023	31/12/2022
საქმიანობის შედეგები			
ნეტო ამონაგები	10	3044798	3494989
საქონლის გაყიდვიდან		0	0
მომსახურების გაწევიდან		3044798	3494989
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0	0
სხვა		0	0
გაყიდვების თვითღირებულება	11	-1887488	-2412552
საწყისი მარაგები		0	0
მარაგების შესყიდვა		0	0
გადამუშავების დანახარჯები		0	0
საბოლოო მარაგები		0	0
საერთო მოგება		1157310	1082437
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	12	-662084	-522297
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-60269	-74557
საპროცენტო შემოსავალი		0	0
საპროცენტო ხარჯი	13	-142	-4424
იჯარის ხარჯი	14	-18750	-9375
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	15	-406488	-98241
სულ საოპერაციო ხარჯები		-1147733	-708894
საოპერაციო მოგება		9577	373543
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		0	0
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		9577	373543
მოგების გადასახადის ხარჯი		-44087	-22291
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		-34510	351252
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		-34510	351252
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		1005291	716451
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-249474	-126316
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	62574
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	1330
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		721307	1005291

2.ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს „გაზტექმშენი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ს/ნ 206245179, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, 2006 წლის 19 მაისიდან საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართია: თბილისი, სამგორის რაიონი, კაკაბაძის ქ. №1, კომპანიის 100% წილის მესაკუთრეა გოჩა მეხაშიშვილი, 01032004098.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმოადგენს კომპანიის დირექტორი: გოჩა მეხაშიშვილი, 01032004098; შპს ეწევა წყალგაყვანილობის, გათბობის და ჰაერის კონდიცირების სისტემების მონტაჟს. ასევე სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი

საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

სამუშაო ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი (“GEL”). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

უცხოური ვალუტა

ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

ამონაგების აღირება

ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. კომპანია მაშინ აღირებს ამონაგებს, როდესაც:

- ☐ შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება;
- ☐ მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი.

გადასახადები

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი კომპანიის მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი). კომპანიის მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმომშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით. ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ძირითადი საშუალებების სპეციფიკიდან გამომდინარე. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება საადრიცხო შეფასების ცვლილების სახით.თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები აღირიცხება მათი თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციით და გაუფასურების ზარალით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა - 5%;
- მანქანა დანადგარები, ოფისის აღჭურვილობა, სატრანსპორტო საშუალებები, ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%;
- სხვა ძირითადი საშუალებები - 15%.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის

ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

სავაჭრო მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

1. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	245766	163868	146626

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში.

2.სავაჭრო მოთხოვნები

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	192159	244577	170526

კომპანიამ მომსახურების გაწევა დაიწყო 2006 წლიდან. მისი მომსახურების მიმღები პირები წარმოადგენენ ძირითადად მუნიციპალიტეტებს, სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მეშვეობით, რომლებიც არიან მისი გრძელვადიანი ან მოკლევადიანი კონტრაქტორები. ასევე კომპანია მომსახურებას უწევს ფიზიკურ და იურიდიულ პირებსაც. კომპანია აკვირდება დებიტორული დავალიანების დაფარვის ტენდენციას და საჭიროების შემთხვევაში პერიოდის ბოლოს საეჭვო მოთხოვნებზე ანარიცხებს ქმნის. მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიამ საჭიროდ არ ჩათვალა შეექმნა სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები.

3. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	82195	3386	0

გადახდილი ავანსები ძირითადად წარმოადგენს მომწოდებლებისთვის წინასწარ გადახდილ თანხებს.

4. მარაგები

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
მარაგები	102940	394003	217354

მარაგები მოიცავს სამშენებლო პროცესისთვის შეძენილ ნედლეულსა და მასალებს.

მოხდა 2022 წლის მონაცემის კორექტირება, პროგრამულად, 2023 წელს მარაგების გადანაწილებისას მივიღეთ არსებული სხვაობა.

5. ძირითადი საშუალებები

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ძირითადი საშუალებები	247500	300757	346228

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე ძირითადი საშუალებების დიდ ნაწილს წარმოადგენს მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები.

იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის სახით:

ძირითადი საშუალებები	საწყისი ნაშთი	აქტივის მიღება	ცვეთა	ნარჩ. საბალანსო ღირებულება
მანქანა-დანადგარები	18789.76	5254.24	6423.84	17620.16
ოფისის აღჭურვილობა	658.14	1609.32	236.94	2030.52
საკომუნიკაციო საშუალებები	215.26		77.49	137.77
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2272.18		818	1454.18
სატრანსპორტო საშუალებები	353526.6		127269.59	226257.01
სულ:	375461.94	6863.56	134825.86	247499.64

6. სავაჭრო ვალდებულებები

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო ვალდებულებები	4308	15118	64524

სავაჭრო ვალდებულებები შედგება მიმდინარე სამეურნეო ვალდებულებებისგან.

მოხდა 2022 წლის სავაჭრო ვალდებულების კორექტირება, ვინაიდან 2023 წელს აღმოჩნდა შეცდომით აღრიცხული ვალდებულების დამადასტურებელი დოკუმენტები. მსგავსი შეცდომები გასწორდა და აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია 2022 წლის სავაჭრო ვალდებულების კორექტირება. (სხვაობა 177 432 ლარი)

7. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	30693	6039	0

აღნიშნული ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიერ წარმოქმნილ ვალდებულებას მისი ანგარიშ-ვალდებული პირის მიერ. კერძოდ დამფუძნებლის მიერ მოხდა ვალდებულების გასტუმრება მომწოდებლების წინაშე. აღნიშნული ვალდებულება დაფარულ იქნა შემგომ პერიოდში.

8. საგადასახადო ვალდებულებები

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
საგადასახადო ვალდებულებები	37276	55864	24701

საგადასახადო ვალდებულება წარმოადგენს ნაერთ საგადასახადო ვალდებულებას, რაც დაფარულია შემდგომ საანგარიშო პერიოდში.

მოხდა 2022 წლის საგადასახადო ვალდებულების კორექტირება, ვინაიდან 2023 წელს აღმოჩნდა შეცდომით აღრიცხული საგადასახადო ვალდებულებები, კერძოდ ერთი და იგივე ოპერაცია იყო გაორმაგებული. (სხვაობა 38 646 ლარი)

9. გამოუმუშავებელი შემოსავალი

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
გამომუშავებელი შემოსავალი	76976	0	0

გამომუშავებელი შემოსავალი არის დამკვეთის მიერ ავანსად გადახდილი თანხა, რომელიც შესრულდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდში.

10. ამონაგები მომსახურების გაწევიდან

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	3044798	3494989

კომპანიის შემოსავალი ფორმირდება ძირითადად სატენდერო ხელშეკრულებებიდან.

მოხდა 2022 წლის ამონაგების კორექტირება, ვინაიდან 2023 წელს აღმოჩნდა შეცდომით აღრიცხული ოპერაცია, რაც ხელოვნურად ზრდიდა ამონაგების ოდენობას. (სხვაობა 25 864 ლარი)

11. გაყიდვების თვითღირებულება

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
გაყიდვების თვითღირებულება	-1887488	-2412552

მოხდა 2022 წლის გაყიდვების თვითღირებულების კორექტირება, ვინაიდან მოგვიანებით აღმოჩნდა რომ ხდებოდა ხარჯების არასწორად დაჯგუფება მისი ეკონომიკური შინაარსიდან გამომდინარე.

კერძოდ, ის ხარჯები, რაც პირდაპირ უკავშირდებოდა გაყიდვების თვითღირებულებას, პროგრამულად აღრიცხული იყო ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

შეცდომა გასწორდა და ხარჯები დაჯგუფდა სწორად, მისი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. საბოლოოდ ამან გამოიწვია 2022 წლის, როგორც გაყიდვების თვითღირებულების, ისე ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯებისა და საერთო მოგების ცვლილებაც.

12. დასაქმებულთა ანაზღაურება

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
დასაქმებულთა ანაზღაურება	-662084	-522297

კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს საშუალოდ 22 თანამშრომელს.

13. საპროცენტო ხარჯი

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
საპროცენტო ხარჯი	-142	-4424

აღნიშნული საპროცენტო ხარჯი შეადგენს 2021 წელს აღებული ბანკის სესხის ხარჯს, რომელიც სრულად დაიფარა 2023 წელს.

14. იჯარის ხარჯი

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
იჯარის ხარჯი	-18750	-9375

კომპანია საქმიანობის ფარგლებში საჭიროებს თანამშრომლების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, ასევე მოიცავს სპეც. ტექნიკის იჯარას.

15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-406488	-98241

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები აერთიანებს სხვადასხვა ხარჯებს, მათ შორისაა: საკონსულტაციო მომსახურება, კომუნიკაციის ხარჯი, კომუნალური ხარჯი, დაზღვევა, და ა.შ.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით 100 ლარამდე ღირებულების ნივთი აღირიცხება საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

არსებული ფინანსური და მენეჯერული ინფორმაციიდან გამომდინარე, კომპანია აგრძელებს საქმიანობას როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2024 წლის 1 ოქტომბერს.



დირექტორი: გოჩა მეხაშიშვილი, (პ/ნ 01032004098)